

მეცნიერების მენეჯმენტი

ლექცია 7. ინტელექტუალური საკუთრების მარკეტინგი

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი
თსუ



რა არის ინტელექტუალური საკუთრება?

კერძო საკუთრების ნაწილი

უძრავი საკუთრება - პირადი საკუთრება

პირადი საკუთრება:

- ✓ მატერიალური - არამატერიალური
- ✓ ინტელექტუალური საკუთრება - სხვა არამატერიალური ქონება
- ✓ საავტორო უფლებები - სამრეწველო საკუთრება

რა არის ინტელექტუალური საკუთრება?

- ინტელექტუალური საკუთრება იცავს "ადამიანის შემოქმედების შედეგს" და არა კონკრეტულ ნივთს.
- ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები არამატერიალური ობიექტებია.

რა არის ინტელექტუალური საკუთრება?


ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დაფუძნების კონვენციის 2(viii) მიხედვით *ინტელექტუალური საკუთრება მოიცავს უფლებებს, რომელიც განეკუთვნება:*

- ✓ მეცნიერების, ხელოვნების და ლიტერატურის ნაწარმოებებს;
- ✓ შესრულებებს, ფონოგრამებსა და სამაუწყებლო ორგანიზაციის გადაცემებს;
- ✓ გამოგონებებს ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროში;
- ✓ სამეცნიერო აღმოჩენებს

რა არის ინტელექტუალური საკუთრება?

(გაგრძელება)

- ✓ სამრეწველო ნიმუშებს;
- ✓ სასაქონლო ნიშნებს, მომსახურების ნიშნებს, კომერციულ სახელებსა და აღნიშვნებს;
- ✓ არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვას;
- ✓ სხვა ყველა უფლებას, რომელიც გამომდინარეობს სამრეწველო, სამეცნიერო, ლიტერატურის თუ ხელოვნების სფეროში ინტელექტუალური საქმიანობიდან.



რატომ არის მნიშვნელოვანი ინტელექტუალური საკუთრების დაცვა?

- ინტელექტუალური შემოქმედების სტიმულირება;
- შემოქმედი პირების ოფიციალური აღიარება;
- უმნიშვნელოვანესი საინფორმაციო ბაზების შექმნა;
- შიდა ეროვნული მრეწველობისა და კულტურის, საერთაშორისო ვაჭრობის ზრდის ხელშეწყობა მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით მინიჭებული დაცვის მეშვეობით.

ინტელექტუალური საკუთრების ზოგადი მიმოხილვა


საავტორო და მომიჯნავე უფლებებით დაცვის ობიექტები:

- უფლებების წარმოშობა ხდება შექმნის მომენტიდან;
- დაცულია ყველა ქვეყანაში, ყოველგვარი ფორმალობის გარეშე;
- დაცვის ზოგადი ვადა შეადგენს ავტორის სიცოცხლე + კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრული პერიოდი
- ორიგინალობის მოთხოვნა – მონოპოლია მხოლოდ საკუთარ ქმნილებაზე

სამრეწველო საკუთრების დაცვის ობიექტები:

- უფლებების წარმოშობა ხდება რეგისტრაციის მომენტიდან;
- დაცულია მხოლოდ იმ ქვეყნებში, რომლებშიც ხდება რეგისტრაცია;
- დაცვის ზოგადი ვადა შეადგენს კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრულ პერიოდს (გამოგონება, სასარგებლო მოდელები, სამრეწველო ნიმუში);
- სიახლის მოთხოვნა – აბსოლუტური მონოპოლია (მხოლოდ გამოგონებასა და სასარგებლო მოდელებზე)

ინტელექტუალური საკუთრების ზოგადი მიმოხილვა



საავტორო და მომიჯნავე უფლებების სამართლის პრინციპები

- საავტორო უფლებებით დაცულია მეცნიერების ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწამოებები;
- ნაწარმოები წარმოადგენს იდეის/ფიქრის გამოხატულებას ობიექტური, ხალხისადმი ხელმისაწვდომი ფორმით და არა თვით იდეას ან ფიქრს;

საავტორო უფლებების დაცვას აქვს ტერიტორიული ხასიათი:

- ნაწარმოები დაცულია საავტორო უფლებებით, თუ იგი აკმაყოფილებს იმ ქვეყნის კანონმდებლობის მოთხოვნებს, რომელშიც მოითხოვება დაცვა;
- ერთ ქვეყანაში საავტორო უფლებების მოქმედების ვადის ამოწურვა ნაწარმოებზე არ იწვევს სხვა ქვეყნებში ნაწარმოების დაცვის შეწყვეტას;
- საავტორო უფლებების გადაცემა შეიძლება შემოფარგლული იყოს კონკრეტული ქვეყნის ტერიტორიით

საავტორო და მომიჯნავე უფლებებით დაცვის ობიექტები

- მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოები;
 - მონაცემთა ბაზა;
 - შესრულება;
 - ფონოგრამა;
 - ვიდეოგრამა;
 - გადაცემა.
- } მომიჯნავე უფლებები

მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოები

- ლიტერატურის ნაწარმოები (წიგნი, სტატია, კომპიუტერული პროგრამა და სხვა);
- დრამატული ან მუსიკალურდრამატული ნაწარმოები, ქორეოგრაფიის ან პანტომიმის ნაწარმოები და სხვა სასცენო ნაწარმოები;
- მუსიკალური ნაწარმოები ტექსტით ან უტექსტოდ;
- აუდიოვიზუალური ნაწარმოები;
- სკულპტურის, ფერწერის, გრაფიკის, ლითოგრაფიის, სახვითი ხელოვნების ნაწარმოები;
- თეატრალური ხელოვნების ნაწარმოები;
- არქიტექტურული, ქალაქმშენებლობის ან საბაღე-საპარკო ხელოვნების ნაწარმოები;

მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოები

- ფოტოგრაფიული ნაწარმოები ან ფოტოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით შექმნილი ნაწარმოები;
- რუკა, გეგმა, ესკიზი, ილუსტრაცია და სხვა მსგავსი ნაწარმოებები, რომელიც მიეკუთვნება გეოლოგიას, გეოგრაფიას, კარტოგრაფიას ან სხვა დარგებს;
- დეკორატიულ-გამოყენებითი ან მონუმენტური ხელოვნების ნაწარმოები;

გადამუშავებული ნაწარმოები:

- თარგმანი;
- ადაპტაცია;
- ეკრანიზაცია;

მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოები

- ინსცენირება;
- მიმოხილვა;
- მუსიკალური არანჟირება;
- კომპილაცია;
- ნაწარმოების სხვაგვარი გადამუშავება;

შედგენილი ნაწარმოები:

- კრებული;
- ენციკლოპედია;
- ანთოლოგია;
- მონაცემთა ბაზა
- სხვა ნაწარმოებები

რა არ წარმოადგენს საავტორო უფლებების ობიექტს?

საავტორო უფლების ობიექტს არ წარმოადგენს:

- იდეა;
- მეთოდი;
- პროცესი;
- სისტემა;
- საშუალება;
- კონცეფცია;
- პრინციპი;
- აღმოჩენა;
- ფაქტი;

მაშინაც, თუ ისინი გამოხატულია, აღწერილია, ახსნილია, ილუსტრებულია ან ხორცშესხმულია ნაწარმოებში

საავტორო უფლება არ ვრცელდება:

- ოფიციალური დოკუმენტებზე;
- სახელმწიფოს ოფიციალურ სიმბოლოებზე;
- ინფორმაციებზე ფაქტებისა და მოვლენების შესახებ.

საავტორო უფლებების მფლობელები

- ნაწარმოების ავტორი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი;
- ნაწარმოებზე ქონებრივი უფლებების მფლობელი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი.



```
graph TD; A[არაკონებრივი უფლებები] --- B[სახელის/ავტორობის უფლება]; A --- C[ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება];
```

არაკონებრივი
უფლებები

სახელის/ავტორობის
უფლება

ნაწარმოების
ხელშეუხებლობის
უფლება

ქონებრივი
უფლებები

ნაწარმოების გამოყენების
განსაკუთრებული უფლება

ჰონორარის მიღების
უფლება

ნაწარმოების გამოყენების
განსაკუთრებული უფლებები

რეპროდუცირების უფლება

გავრცელების უფლება

ნაწარმოების ასლების იმპორტირების უფლება
შემდგომი გავრცელების მიზნით

თარგმნის, გადამუშავების უფლება

ნაწარმოების გაქირავების ან მფლობელობის
სხვაგვარი ფორმით გადაცემის უფლება

საჯარო ჩვენების, გადაცემის,
შესრულების უფლება

ნაწარმოების სხვაგვარი გამოყენების უფლება

ქონებრივი უფლებების შეზღუდვა

- ნაწარმოების რეპროდუცირება ფიზიკურ პირთა მიერ პირადი სარგებლობისათვის;
- ნაწარმოების ასლების გამრავლება ბიბლიოთეკების, არქივებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ;
- ნაწარმოების ნაწილის სხვადასხვაგვარი გამოყენება;
- მუსიკალური ნაწარმოების საჯარო შესრულება ცერემონიების დროს;
- ნაწარმოების რეპროდუცირება სასამართლო წარმოებისთვის;
- სამაუწყებლო ორგანიზაციის მიერ ნაწარმოების მოკლევადიანი ჩაწერა.



პატენტუნარიანობის კრიტერიუმები

სიახლე

საგამომგონებლო დონე

სამრეწველო გამოყენებადობა

რა არის სასაქონლო ნიშანი?

1. სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთიანობა, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს ან/და მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლის ან/და მომსახურებისაგან.
2. სიმბოლო შეიძლება იყოს: სიტყვა ან სიტყვები, აგრეთვე ადამიანის სახელი; ასოები; ციფრები; ბგერები; გამოსახულება; სამგანზომილებიანი ფიგურა, მათ შორის, საქონლის ფორმა ან შეფუთვა, ისევე, როგორც საქონლის სხვა გარეგნული გაფორმება ფერის ან ფერთა კომბინაციის გამოყენებით.

სასაქონლო ნიშნის სახეები

- სიტყვა ან სიტყვები;
- ციფრები;
- გამოსახულება;
- სამგანზომილებიანი ფიგურა;
- ბგერები;
- ფერი ან ფერთა კომბინაცია;
- სუნი;
- მოძრაობა



ჩვენს შესახებ

ორგანიზაციის ბიუჯეტი
2008-2009 წლები

საკონტაქტო ინფორმაცია

ეროვნული
კანონმდებლობა

საერთაშორისო
ხელშეკრულებები

პუბლიკაციები

ინტელექტუალური
საკუთრების
ბიბლიოთეკა

სიახლეები

ვიდეოინფორმაცია

კითხვები და პასუხები

საინტერესო ცნობები

„საქპატენტში“
სტატიების გავლის წესი

ვიზიტორთა რაოდენობა
320169
ბმულები:



სიახლეები და განცხადებები

27.04.2010: 26 აპრილს საქპატენტმა ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გამართა



ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, 26 აპრილს, 18:30 სთ-ზე, გიორგი ჩიტაიას სახ. ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ღია ცის ქვეშ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიერ მასშტაბური ღონისძიება ჩატარდა. ღონისძიებას საქართველოში მოღვაწე დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მთავრობის წევრები, საზოგადო მოღვაწეები, ჟურნალისტები და ცნობილი კომპანიების წარმომადგენლები დაესწრნენ.

[ვრცლად](#)

23.04.2010: მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

22.04.2010: 26 აპრილი ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო დღეა

21.04.2010: საქაატენტში მოწოდებისა და აატენტების გადაცემის ცერემონიალი გაიმართა

20.04.2010: საქპატენტში მოწოდებისა და პატენტების გადაცემის ცერემონიალი გაიმართება

12.04.2010: საქპატენტმა მონაწილეობა მიიღო 8-10 აპრილს „ექსპო ჯორჯიაში“ გამართულ გამოფენაში „წარმოებულია თბილისში“

[სიახლეების არქივი](#)

მონაცემთა ბაზები

ამოირჩიეთ სამიზნო ობიექტი

- გამოგონებები
- სასარგებლო მოდელები
- სასაქონლო ნიშნები

ოფიციალური ბიულეტენები

სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენები

2010 წელი

[ჩამოტვირთვა](#)